საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №67/288-18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- და -- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 აპრილის №288/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორების განცხადებით, სასამართლომ დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევით გადააგზავნა საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რამაც საჩივრის განუხილველად დატოვება გამოიწვია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2012 წლის 16 მარტის განაჩენით:

მსჯავრდებულ -- -- მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. -- -- ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 24 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 5 წლის ვადით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულ -- -- მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. -- -- ცნობილი იქნა

დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რისთვისაც საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 26 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 5 წლის ვადით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 ოქტომბრიდან.

-- სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებებით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, -- -- და -- -- განთავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოხდისგან. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულები განთავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელებისგან, ხოლო ამავე კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, 1/4-ით შეუმცირდათ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელები, რის საფუძველზეც, -- -- და -- -- განესაზღვრათ 9-9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

,,სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ‘‘ პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, -- -- და -- -- განთავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის შემდეგი მოხდისაგან.

2.2. 2018 წლის 10 მაისს, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, -- სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს -- -- და -- --, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორთა მითითებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილებით, დადგენილი იყო კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნებოდა.

-- სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2018 წლის 24 მაისის განჩინებით, -- -- და -- -- შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, ცნობილია დაუშვებლად.

-- სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის განჩინებაზე, 2018 წლის 08 ივნისს საკასაციო საჩივარი წარადგინეს -- -- და -- --. გასაჩივრების საპროცესო ვადის დარღვევის გამო, საკასაციო საჩივარი საქმესთან ერთად, განუხილველად დაუბრუნდა -- სააპელაციოს სასამართლოს.

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით, მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა, გაცდენილი საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე, დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 აპრილის დასკვნა:

-- -- და -- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ‘‘ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე‘‘ (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[1]

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრისსაფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე–6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც ასევე მოიცავს გონივრულ ვადებში საქმის განხილვას. ამასთან, სისხლის სამართალწარმოება შეადგენს ერთ მთლიან ნაწილს და მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვა არ წყვეტს მოქმედებას პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ (Belziuk c. Poland, §37).

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3/2/577 გადაწყვეტილება

აღდგენა.

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე[1]“ მუხლის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებლად ცნობს მას. განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საკასაციო საჩივარი ამ კოდექსით დადგენილი წესით, მისი გამოტანიდან 2 კვირის ვადაში.

საქმის მასალების თანახმად დადგენილია:

- -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის განჩინებით, შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, ცნობილია დაუშვებლად.
- -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის განჩინება, -- -- და -- -- გაეგზავნათ 2018 წლის 25 მაისს. მოსამართლის თანაშემწის 2018 წლის 20 ნოემბრის წერილის თანახმად, გზავნილი -- -- და -- -- ჩაბარდათ 2018 წლის 28 მაისს.
- საკასაციო საჩივარი, -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის განჩინებაზე წარდგენილია 2018 წლის 08 ივნისს.
- მოსამართლის 2018 წლის 19 ივნისის მიმართვის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი, საქმესთან ერთად, საქართველოს უზენაესს სასამართლოს გაეგზავნა 2018 წლის 20 ივნისს.

საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ დადგენილ საპროცესო ვადის დარღვევით გადააგზავნა საქმე საქართველოს უზენაესს სასამართლოში, რამაც საჩივრის განუხილველად დატოვება გამოიწვია.

სადავო შემთხვევაზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ გასაჩივრების საპროცესო ვადის დაცვა, საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის შესაბამისად, არ უკავშირდება საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის ფაქტს. საპროცესო ვადის დინება, იწყება განჩინების გამოტანიდან და განისაზღვრება 2 კვირით.

კონკრეტულ შემთხვევაში 2018 წლის 24 მაისის განჩინება, შუამდგომლობის ავტორებს გაეგზავნათ 2018 წლის 25 მაისს და ჩაბარდათ 2018 წლის 28 მაისს (განჩინების გამოტანიდან მე-4 დღეს). შესაბამისად, ვარაუდი იმისა, რომ სასამართლოს ბრალეულობით გაჭიანურდა მხარისათვის განჩინების გაგზავნა, არ დადასტურდება. არსებულ მოცემულობაში გასაჩივრების საპროცესო ვადის დაცვის ტვირთი და პასუხისმგებლობა მთლიანად დამოკიდებული იყო მხარეზე.

რაც შეეხება საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის ხანგრძლიობას, აღსანიშნავია რომ საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს სს საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნის საპროცესო ვადას. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვალდებულია მაქსიმალურად გონივრულ ვადაში უზრუნველყოს საქმის გაგზავნა, რათა დაცული იქნეს პირის უფლება - გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის თაობაზე.

საქმის მასალების თანახმად, 2018 წლის 24 მაისის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი, საქმესთან ერთად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გაეგზავნა 2018 წლის 20 ივნისს. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი საქმეზე წარდგენილია 2018 წლის 08 ივნისს, საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის ვადის ხანგრძლივობა გონივრულად უნდა შეფასდეს.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 14 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №67/288-18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი